პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 15 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

9 (1004) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ყაზარმები 2—24. განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## წვევამდელო, პირნათლად შეასრულე ყოველივე ის, რასაც გავალებს წითელი ჯარი.

1904 წელში დაბადებულ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის წვევამდე მზადება დასრულდა.

დღეს ისინი სტოვებენ თავიანთ წერტებს და მიდიან სახლში. მაგრამ წვევამდე მზადების დამთავრება წერტებზე იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენმა წვევამდელებმა წითელ ჯარში გაწვევამდე არ უნდა იფიქრონ სამხედრო სწავლებაზე და სრუ- [illegible] ყოველივე ის, [illegible] თვენახევარი [illegible] დროს. [illegible] შედარებით [illegible] მზადება უსა- [illegible] პირობებში და [illegible] ად ჩატარდა. [illegible] ადევნებდა [illegible] მოთავსებულ [illegible] წვევამდე [illegible] ისთვის ეს ნა- [illegible] ტეხნიკურ და [illegible] იულობას [illegible] წერტების [illegible] ლიტიკურ [illegible] ვსთქვათ, [illegible] წვევამდელე- [illegible] მეტის სამხედრო ცოდნით დატვირთული მიდიან სახლში ვიდრე შარშანდელი წვევამდელები.

მთელი წითელი ჯარი მხურვალედ ულოცავს ჩვენს წვევამდელებს მეცადინეობის ასე წარმატებით დასრულებას და ამასთანავე ღრმა იმედს გამოსთქვამს, რომ სახლში დაბრუნებისას ისინი არ დაივიწყებენ წვევამდე მზადების წერტებზე შეძენილ სამხედრო ცოდნას; და რომ კიდევ უფრო გაამტკიცებენ და გაალრმავებენ მას ადგილობრივ სამხედრო კუთხეებსა და წრეებში აქტიური მონაწილეობით. ჩვენ ერთხელ კიდევ მოვაგონებთ წვევამდელებს, რომ რამდენათ უფრო მეტი ეცოდინებათ მათ სამხედრო საქმე ჯარში მოსვლამდე, იმდენათ უფრო ადვილი იქნება მათთვის წითელ არმიაში სამსახური.

თვენახევარი წვევამდე მზადების განმავლობაში წვევამდელები მჭიდროთ დაუკავშირდენ ჩვენს გაზეთს.

ეს კავშირი მათ კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ და განამტკიცონ. ამით წვევამდელებს მუდმივი კავშირი ექნება ჩვენს წითელ ჯართან, მეორე მხრივ ჩვენი გაზეთი საშუალებას მისცემს მათ განამტკიცონ და გააფართოვონ წვევამდე მზადების დროს მიღებული ცოდნა. წვევამდელი არა თუ მუდმივი ხელის მომწერი და მკითხველი უნდა იყოს ჩვენი გაზეთისა, არამედ მისი აქტიური თანამშრომელიც და გამავრცელებელი. წვევამდელმა უნდა მოიწეროს იმის შესახებ თუ როგორ აფართოვებს ის თავის სამხედრო ცოდნას და რა მონაწილეობას იღებს მოსახლეობის გასამხედროების საქმეში.

აი ყოველივე ის, რასაც ავალებს წითელი ჯარი ჩვენ წვევამდელს და რაც მტკიცედ უნდა ახსოვდეს მას წვევამდე მზადების დამთავრების შემდეგ. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ყოველივე ამას ისინი პირნათლად შეასრულებენ და წითელ ჯარში გაწვევისას მოვლენ საკმაოდ მომზადებული წითელ არმიელის მაღალი სახელწოდების მისაღებად.

გაუმარჯოს წვევამდელების მუყაით და ენერგიულ მუშაობას სამხედრო ცოდნის გაღრმავების საქმეში წვევამდე მზადების შემდეგ ვიდრე წითელ ჯარში მოსვლამდის.

წვევამდელებო ნუ გასწყვეტთ კავშირს თქვენს გაზეთ „წითელ არმიელთან"! ხშირად მოიწერეთ მასში!

## ბრძოლა არ დასრულებულა.

უკვე ერთ წელზე მეტია, რაც მაროკოს ტომები თავგამოდებით ებრძვიან საფრანგეთის მტაცებლებს.

საფრანგეთის იმპერიალიზმმა ყოველგვარი ზომები იხმარა ძალით დაემორჩილებია აჯანყებული რიფები, მაგრამ ამაოდ. მან ვერ უშველა მისი სამხედრო ტეხნიკის და ძალების ძლიერებამ. რიფების ნებისყოფა ვერ გასტეხა ვერც საფრანგეთის მრავალ რიცხოვან ჯარებმა, ვერც მისმა ავიაციამ და შხამიან გაზებმა. რიფები მედგრად არიან და მტკიცედ დგანან თავისი ინტერესებისა და თავისუფლების სადარაჯოზე. მათ გადასწყვიტეს არავითარ შემთხვევაში არ დანებდენ მტერს და მოიპოვონ სრული დამოუკიდებლობა. ამას წინად რიფების ბელადმა აბდ-ელ-ქერიმმა ელჩი გაუგზავნა საფრანგეთის მთავრობას ზავის ჩამოგდების მიზნით. მაგრამ საფრანგეთის საგარეო მინისტრმა ბრიანმა არ მიიღო აბდ-ელ ქერიმის ელჩი.

მტაცებელ საფრანგეთის იმპერიალიზმს არ სურს ზავი, მას სწადია სისხლში ჩაახრჩოს თავისუფლების მოყვარე რიფები და კისერზე დაადოს მათ თავისი ბატონობის მძიმე უღელი.

საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები ავრცელებენ ხმებს, თითქოს აბდ-ელ ქერიმს ძლიერ გაუჭირდა ბრძოლა, რომ ის მეტად ცუდ პირობებში იმყოფება და სხვა. მართალია რიფების მდგომარეობა არ არის კარგი. ერთი მუჭა ხალხი ებრძვის უდიდეს კაპიტალისტურ ვეშაპს, როგორიც არის საფრანგეთის იმპერიალისტური სახელმწიფო. მაგრამ მიუხედავათ ამისა რიფები არც ისე ძაბუნად არიან როგორც ეს საფრანგეთის მყვლეფელებს ჰგონიათ. უკანასკნელ ხანებში აბდ-ელ-ქერიმმა ძლიერ გაიმაგრა გულირიფების დედა ქალაქი აჯირი რომელიც შემოდგომაზე ხელთ იგდეს ესპანეთის ჯარებმა, კვლავ დაიპყრეს რიფებმა და გარეკეს იქიდან ესპანელები.

მთელი რიგი ტომებისა, რომლებიც საფრანგეთ-ესპანეთის ჯარების შემოტევის დროს გვერდზე გაუდგენ აბდ-ელ-ქერიმს, ისევ დაუმორჩილდენ მას.

დაბოლოოს დღევანდელი რადიო გვატყობინებს, რომ რიფები გადავიდენ შეტევაზე და მოსალოდნელია სერიოზული ბრძოლებით.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს ჩვენ, თუ რა რიგ დიდია ამ პატარა ერის ნებისყოფა და სურვილი თავი გაინთავისუფლოს უცხოელ მოძალადების კლანჭებისაგან.

რიფების შეუდრეკლობა და სიმტკიცე ჩვენ სრულ საბაბს გვაძლევს ვსთქვათ, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება მაინც ამ გმირ ერს დარჩება.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ბრძოლა მაროკოში.

**რიფები შეტევაზე გადადიან.**

რიფებმა კვლავ განაახლეს შეტევა. მოსალოდნელია დიდი ბრძოლები.

საფრანგეთის ჯარები შეიჭრენ იმ ზოლში, რომელიც არ შედის საფრანგეთის გავლენის ფეროში.

## გერმანიის დიდი კოალიციის საქმე ჩაიშალა.

**ჰინდენბურგმა მთავრობის შედგენა მიანდო ლიუტერს.**

გერმანიის რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატები წავიდენ დიდი კოალიციური მთავრობის შედგენის წინააღმდეგ.

პრეზიდენტ ჰინდენბურგმა მიანდო მთავრობის შედგენა ლიუტერს.

## სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა ყრილობა.

**მოითხოვენ კანონიერ უფლებას.**

სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა ყრილობა მოითხოვს, რათა მთავრობამ გამოიკვლიოს უმუშევართა მდგომარეობა უმუშევრობის, ავადმყოფობისა და მოხუცებულობის დაზღვევის შემოღების მიზნით. ყრილობა მოითხოვს აგრეთვე არსებულ ჯარიმების მოსპობას, 8 საათის სამუშაო დღესა და ახალშენისებურ თვითმართველობას ინდოეთისთვის.

## ბრძოლა მუშურ-გლეხური პარტიისათვის.

**რეაქციონური თუ გლეხური პარტია?**

გასული წლის ნოემბერში იაპონიაში დაარსებულ იქნა მუშურ-გლეხური პარტია, რომელიც დაარსებისთანავე აკრძალა პოლიციამ, გლეხთა კავშირი და მუშათა ორგანიზაციები კვლავ სცდილობენ ასეთი პარტიის დაარსებას. ამ მიზნით მათ წინასწარ მოიწვიეს 13 იანვარს ყრილობა.

პარლამენტის წევრთა ერთი ჯგუფი სცდილობს დაარსოს რეაქციონური გლეხთა პარტია—„რიკკენ მონიტო", რაც ნიშნავს „კონსტიტუციონური გლეხთა პარტია"-ს.

## სისხლიანი არჩევნები სირიაში.

ალეპოში (სირია) არჩევნების დროს გაიმართა მანიფესტაციები. მანიფესტანტები სცდილობდენ ციხეში გამომწყვდეულ დრუზების განთავისუფლებას. მოხდა შეტაკება. მოკლულ იქნა 9 მანიფესტანტი და ერთი პოლიციელი. დაიჭრა ერთი ფრანგი ოფიცერი.

## მანჯურიის დამოუკიდებლობა.

ჩან-ძო-ლინმა დააგზავნა ცირკულიარული დეპეშა, რომელშიაც მანჯურიას აცხადებს პეკინის მთავრობისგან დამოუკიდებლად, ვინაიდან „დუან-ცზი-ჩჟუიმ (პეკინის მმართველი) დაჰკარგა უფლება და მოქმედების თავისუფლება".

ჩჟან-ძო-ლინის წარმომადგენელი პეკინში გო-ინ-ჩჟუ დაბრუნდა პეკინიდან მანჯურიაში.

# მუშათა მოძრაობა

**ამერიკაში**

**ნიუ-იორკში გაფიცულია 150.000 მუშა.**

ნიუ-იორკში (ამერიკაში) 11 დღეა გრძელდება ქვანახშირის მუშათა გაფიცვები. მოლაპარაკებამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია და შესწყდა. გაფიცულია 150.000 მუშა.

**გერმანიაში**

**გერმანიაში უმუშევართა რიცხვი 4 მილიონს გადასცილდა.**

გერმანიაში ამ ჟამად 4 მილიონზე მეტი უმუშევარია. ამათგან დახმარებას ღებულობს მხოლოდ მილიონ ნახევარი კაცი.

კომუნისტები მოითხოვენ დახმარების გადიდებას 50 პროცენტით. მთელს გერმანიაში იმართება მუშათა უამრავი დემონსტრაციები კომუნისტების მოთხოვნილების სასარგებლოდ.

## უცხო სიტყვების ახსნა

**კოალიცია**—გაერთიანება, კავშირი. კოალიციური მთავრობა—სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებისაგან შემდგარი მთავრობა.

**მანიფესტაცია**—დარაზმულად, შეერთებულად გამოსვლა ამათუ იმ მოთხოვნილებით.

**რეაქცია**—მიმართულება, რომელიც წინააღმდეგია ყოველივე ახალის და მომხრეა ძველი წესწყობილების.

**რეიხსტაგი**—სრულიად გერმანიის პარლამენტი ანუ სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება.

**კონსტიტუცია**—ძირითადი კანონი, რომელშიც განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს წესწყობილება.

**არქეოლოგია**—ძველი ისტორიული ნაშთების გამომკვლევი მეცნიერება.

**ტონა**—დაახლოებით 61 ფუთი.

**ამნისტია**—დევნისა და დასჯისაგან გათავისუფლება.

**გომინდანი**—ჩინეთის ეროვნულ-რევოლიუციონური პარტია.

**რეპრესიები**—გადამჭრელი ზომები.

# ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲒᲣᲚᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.

## 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

დღეს სრულდება 7 წელი მას შემდეგ, რაც გერმანიის მოღალატე სოციალისტებმა ჯალათურად მოჰკლეს გერმანიის მუშათა კლასის ბელადები ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი.

ჯერ კიდევ ადრე, 1918 წლის შემოდგომაზე გერმანიაში სერიოზულ ხასიათს ღებულობს მუშათა კლასის მოძრაობა და საერთო გაფიცვები, რომელთა მიზანი იყო გერმანიის მონარქიის დამხობა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ძალაუფლების გამოცხადება. ამ მოძრაობის შედეგი იყო 1918 წელში 9 ნოემბერს ვილჰელმ მეორის დამხობა, რომლის შემდეგ გერმანიაში გაბატონდენ მემარჯვენე სოციალისტები, შეიდემან-ებერტის მეთაურობით.

ამ ხანებში გერმანიის კომუნისტები არ შევიდენ მთავრობის შემადგენლობაში, შეაკავშირეს მუშათა კლასი და გამოუცხადეს ბრძოლა მემარჯვენე პარტიების მოღალატურ პოლიტიკას.

შეიდემანის მთავრობა ეძებდა გამოსავალს ამ მდგომარეობიდან. პირველად 16 დეკემბერს 1918 წელში მოწვეულ იქნა ქ. ბერლინში მუშებისა და ჯარისკაცების საბჭოების ყრილობა, რომლის უმრავლესობა მხარს უჭერდა მოღალატე სოციალისტებს და მათ პოლიტიკას. ყრილობაზე დაადგინეს, რომ მომავალი წლის 19 იანვარს მოეწვიათ ეროვნული დამფუძნებელი კრება. ამ საშუალებით გერმანიის „სოციალისტებს" სურდათ გაეუქმებიათ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები და თავიდან აეცდინად პროლეტარული რევოლიუციის საფრთხე.

აღნიშნული ყრილობის შემდეგ აშკარა შექნა, რომ გერმანიის მუშათა კლასი თუ არ გასწყვეტდა კავშირს მოღალატე სოციალისტებთან და არ გამოუცხადებდა მათ ბრძოლას, ისე პროლეტ. რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებდა გერმანიაში.

ამ უკმაყოფილებას გერმანიის მუშათა კლასისას დაემატა „დამოუკიდებელთა" უკმაყოფილებაც, რაც გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ შეიდემანის მთავრობამ სხვა და სხვა მოსაზრებით მოხსნა 1919 წლის 4 იანვარს ბერლინის პოლიციის უფროსი—„დამოუკიდებლთა" პარტიის წარმომადგენილი. ამ ამბებს თან მოყვა მუშების გრანდიოზული გაფიცვები და დემონსტრაციები ბერლინის ქუჩებზე, რომლებსაც მეთაურობდენ ამხ. კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი.

გამოსვლების ჩასაქრობად შეიდემანის მთავრობისაგან დანიშნულ იქნა სამხედრო დიქტატორად „სოციალისტი" ნოსკე, რომელმაც თეთრგვარდიელთა ოფიცრების და მოხალისეთა რაზმელების დახმარებით სისხლში ჩაახრჩო მუშათა კლასის აჯანყება. მთელი კვირის განმავლობაში ბერლინის ქუჩებზე საშინელი ომი სწარმოებდა. პოლიციელებმა დაამარცხეს მუშები.

ამ ბრძოლაში კომუნისტებმა და სპარტაკელებმა სხვა მრავალ ამხანაგებთან ერთად დაჰკარგეს თავიანთი ბელადები—კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი, რომლებიც ჯერ შეიპყრეს და შემდეგ კი მხეცურად მოჰკლეს „სოციალისტებმა" და მონარქისტ-ოფიცრებმა.

ამ ამბების შემდეგ უკვე შვიდი წელი შესრულდა. გერმანიის მოღალატე სოციალისტებმა თავიანთი პოლიტიკით დაღუპვის კარამდე მიიყვანეს გერმანიის მშრომელი ხალხი და გახადეს ის კაპიტალისტური სახელმწიფოების საწველ ფურად.

გერმანიის პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სრულ გამარჯვებამდე მიიყვანს იმ საქმეს, რომელსაც შესწირენ კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი.

მი.

## ᲙᲐᲠᲚ ᲚᲘᲑᲙᲜᲔᲮᲢᲘ



კარლ ლიბკნეხტი ცნობილ სოციალისტის, მარქსის თანამედროვე და მოწაფის ვილჰელმ ლიბკნეხტის შვილი იყო, რომელიც სიკვდილამდე დაუნდობლად ებრძოდა მილიტარიზმს.

კარლი ლიბკნეხტი იყო არამც თუ მარტო გერმანიის პროლეტარიატის ბელადი, არამედ კომუნიზმის ბრძოლისათვის წამებულიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კარლ ლიბკნეხტის ბრძოლა შემთანხმებელ პარტიების წინააღმდეგ, რომლებმაც 1914 წელში უღალატეს მუშათა კლასსა და მხარი დაუჭირეს მსოფლიო იმპერიალისტურ ომს. ის მრავალ ალაგას გამოვიდა მიტინგებზე, პარტიის კრებებზე და დაუსურათა მუშათა კლასს მემარჯვენე სოციალისტების გამყიდველობა და იმპ. ომის საშინელება. ამისათვის მთავრობამ ის აგზავნის ფრონტზე, როგორც რიგის ჯარის კაცს, მხოლოდ პირველი მაისის დემონსტრაციის დროს ბერლინში მას აპატიმრებენ და ექვსი წლით ამწყვდევენ ციხეში. აქედან ის განთავისუფლა 1918 წ. გერმანიის რევოლიუციამ.

## ᲠᲝᲖᲐ ᲚᲘᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ.

მსოფლიო რევოლიუციონერი მოძრაობის ისტორიაში როზა ლიუქსემბურგს უჭირავს უდიდესი ადგილი. მთელი თავისი სიცოცხლეში ის მამაცად იბრძოდა კომუნიზმისათვის. დაეცა ის ბრძოლის ველზე კარლ ლიბკნეხტთან ერთად, როგორც გმირი და სოციალური რევოლიუციისათვის წამებული.

როზა ლიუქსემბურგი 16 წლის შესრულებიდან ებმება რევოლიუციონურ მუშაობაში, რომელიც პირველად შედის პოლონეთის პარტია „პროლეტარიატში". მეფის მთავრობის მიერ ამ პარტიის გარეკვის შემდეგ, როზა ლიუქსემბურგი მიდის საზღვარ გარეთ.

1905 წელში როზა უშუალო მონაწილეობას ღებულობს რუსეთის რევოლიუციაში. 1907 წელში ის უშვებს წიგნს სათაურით „პარტია, პროფკავშირები და საყოველთაო გაფიცვა", სადაც ბრწყინვალეთ აშუქებს 1905 წლის რევოლიუციას.



მსოფლიო იმპ. ომის შემდეგ რ. ლიუქსემბურგსაც ატუსაღებენ ერთი წლით ომისა და მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის. ციხიდან ის განთავისუფლდა კ. ლიბკნეხტთან ერთად.

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲡᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ.

### ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚ ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲘᲬᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

იაპონიას უჭირავს 5 დიდი და მრავალი პატარა კუნძული დიდ ოკეანეზე აზიის შორეულ აღმოსავლეთში. ქვეყანას განაგებენ მემამულეები და კაპიტალისტები მიკადოს (იმპერატორის მეთაურობით). მსოფლიო ომის დროს იაპონიამ ბევრი მოიგო; იქ გაძლიერდა მრეწველობა, გამრავლდა ფაბრიკა ქარხნები.

იაპონიაში ითვლება 58 მილიონი მცხოვრები. მოსახლეობის ნახევარზე მეტი მისდევს სასოფლო მეურნეობას. იაპონიაში არის 5 ნახევარი მილიონი გლეხის მეურნეობა, რომლებიც ამუშავებენ ხუთ მილიონზე მეტ დესეტინა მიწას. თითო მეურნეობაზე მოდის საშუალოდ 1 დესეტინა.

მაგრამ ამ მიწის დიდი ნაწილი ეკუთვნის არა იმათ, ვინც შრომობს და ამუშავებს მას, არამედ მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც იჯარით აძლევენ მიწას გლეხობას. მხოლოდ სოფლის მეურნეთა 30 პროცენტს, ე. ი. ერთ მილიონ იქვსას ათასს აქვს საკუთარი მიწა. დანარჩენი მთლიანად ან ნაწილობრ ეკუთვნის მსხვილ მიწათმფლობელებს.

იჯარა მიწაზე დიდია. იაპონელი მოიჯარადრე იჯარაში აძლევს მოსავლის ნახევარზე მეტს; გადასახადები კიდევ სხვაა, რომლებიც კიდევ უფრო დიდია.

იაპონიის მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდება 700,000 კაცით და იაპონიის გლეხობა შევიწროებულია უმიწობით. იაპონელ გლეხთა გადასახლება ამერიკას, კანადასა და ავსტრალიაში აკრძალულია იქაურ მთავრობების კანონებით.

ამიტომ ბუნებრივია ის მოვლენა, რომ საიჯარო გადასახადი იაპონიაში განუწყვეტლივ იზრდება. იზრდება აგრეთვე იაპონიის მიწათმფლობელთა რიცხვი.

იაპონიის გლეხობის მდგომარეობა მეტად მძიმეა. გლეხი, რომელიც სთესავს უმაღლესი ხარისხის ბრინჯს (ბრინჯი იაპონიის მოსახლეობის უმთავრესი საზრდოა), იძულებულია გაჰყიდოს ის და იყიდოს თავისთვის იაფ-ფასიანი ბრინჯი, რომელიც შემოდის საზღვარგარეთიდან. სხვანაირად მას არ შეუძლია დაჰფაროს თავისი სამეურნეო ხარჯები. ბევრს არ შეუძლია იხარჯოს ბრინჯიც და კმაყოფილდება მხოლოდ კარტოფილითა და მწვანილით.

იაპონელ მამამულეებს, ბობოლებსა და გლეხებ შორის მუდმივი მტრობა და დავაა. მოიჯარადრეები მოითხოვენ საიჯარო გადასახადის შემცირებას, ხოლო მემამულეები სცდილობენ იჯარის გადიდებას. 1923 წელში ადგილი ჰქონდა დავის 1917 შემთხვევას ამ საკითხის გარშემო.

იაპონიის გლეხობა სცდილობს გადავიდეს მემამულეებთან განცალკევებული ბრძოლიდან უფრო შეკავშირებულ ბრძოლაზე. მათ შეიგნეს გამოცდილებით, რომ მემამულეთა ძარცვას შეიძლება წინაღუდგენ მხოლოდ შეკავშირებით. უკანასკნელ წლებში იაპონიაში შექმნა მოიჯარადრეთა დიდძალი კავშირი, რომლებიც მიზნათ ისახავენ მემამულეებთან ბრძოლას.

იაპონიის გლეხთა ბრძოლა მსხვილ მიწათმფლობელთა წინააღმდეგ თან და თან სასტიკი ხდება. ხშირათ მიწის გარშემო დავა სისხლის მღვრელ შეტაკებებით თავდება. მუშათა ორგანიზაციები დახმარებას უწევენ გლეხებს მიწათმფლობელებთან დავაში.

მუშათა ორგანიზაციები მონაწილეობას ღებულობენ გლეხების გამოსვლებში მემამულეების წინააღმდეგ და ნივთიერ დახმარებას უწევენ გლეხებს. ხშირად ხდება ერთსა და იმავე დროს მოიჯარადრეთა და მუშათა გაფიცვები.

იაპონიის კომუნისტური პარტია სცდილობს ყოველთვის მოაწყოს მუშებისა და გლეხების შეერთებული გამოსვლები მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ და მოითხოვს მთელი მიწების გლეხობაზე გადაცემას.

ა. ს.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

## ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲬᲘᲜᲐᲓ ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲐ.

დაახლოებით ხუთასი წლის უკან, დენთის გამოგონების შემდეგ, შემოღებულ იქნა პირველად ცეცხლ-ყორცნი იარაღი. პირველი საარტილერიო იარაღი იყო მსუბუქი და ისროდა პატარა ჭურვებით. ეს იარაღი ვერ მიდიოდა შორს და მასთან სიმარჯვეც ნაკლები ჰქონდა.

ვინაიდან ძველი იარაღების აგება პირველყოფილი და სახელდახელო იყო (იარაღს შეჰკრავდენ რკინის ზოლებითა და სალტეებით), ამიტომ ხშირი იყო შემთხვევა, როცა იარაღი სქდებოდა და ჰხოცავდა თვით მსროლელებს.

მე-15 საუკუნის ბოლოს შეტანილ იქნა მცირეოდენი ცვლილებები, იარაღიც რამოდენიმედ გაუმჯობესდა, მოხვედრის სიშორემაც იმატა. ამ იარაღებს სტენიდენ არა უკანიდან, არამედ წინიდან, ლულიდან, რასაც უფრო მეტი დრო სჭირდებოდა.

ამ იარაღებმა მიიღეს „ზარბაზნის" სახელი, ხოლო მსროლელებმა „მოზარბაზნეები"-ს; ეს მოზარბაზნეები მსახურობდენ მთელს სიცოცხლეში, ხოლო როცა მამა მოკვდებოდა, მას შესცვლიდა შვილი.

ამავე დროს შემოღებულ იქნა კიდევ იარაღის ორი გვარი: „კულევრინი", რომელიც ძზადდებოდა ბრინჯაოსაგან და იგრძით ორნახევარჯერ მეტი იყო „ზარბაზანზე", მაგრამ წონითა და სიმსხვით ნაკლები, და მეორე „ფალკონეტი", რომელთავან უმცირესი ყუმბ… სიდიდით ფორთოხალს უდ… და.

ცოტა მოგვიანებით შე… ღებულ იქნა ახალი იარა… „გაუბიცა", რომელიც იხმა… ბოდა უმთავრესად ციხოვნებ… ბრძოლაში.

რუსეთში მე-16 საუკუნე… იყო ერთი შესანიშნავი მო… ლე ანდრია ჩოხოვი, რომე… მაც ბევრი ზარბაზანი ჩამოა… მის ჩამოსხმულ ზარბაზნებ შ… რის ყველაზე უდიდესი … გაუბიცა, რომელსაც ერ… „მეფე ზარბაზანი" და რო… ლიც ახლ მად მოსკოვის კრ… ლში ინახება. ეს გაუბიცა იწ… ნის 2400 ფუთს, სიგრძით … რის 2 ნახ. საჟენს, ბირთ… წონა—120 ფუთს, ლულის … მოჭრილი—25 დიუმს.

შაშხანიან იარაღების შე… ღების შემდეგ შეიცვალა … ტენის ხერხიც. ჭურვასა და … ტენს სდებდენ არა ლულიდ… არამედ უკანიდან და ჰკეტ… დენ განსაკუთრებული საკეტ… ამ ახალ ხერხის შემოღებას მ… ყვა სროლის სიჩქარეც. უკვ… ლო დენთისა და უფრო გა… ჯობესებულ იარაღების შე… ღებამ (დასამიზნებელ ხელს… ყოების: კუთხსაზომისა და სხ… საშუალება მისცა არტილერი… ეწარმოებია მარჯვე ცეცხ… დახურულ პოზიციებიდან … უკვამლო სროლით ნაკლებ … საჩნევი გახადა თავისი … ზიცია.

## ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲓᲐᲜ Დ…

თვალთვალი მტრის ბანაკისადმი შეიძლება ორი საშუალებით: მიწიდან და ჰაერიდან. ჰაერიდან თვალთვალი შეიძლება ჰაეროსტატიდან (ჰაეროვანი ბუშტი) და თვითმფრინავიდან. როგორც პირველი, ისე მეორე საშუალება იხმარება საბრძოლო ცხოვრების ყოველგვარ შემთხვევებში. მაგ. მოძრაობს ჯარის რიგები და ის თავის მოძრაობით ამჟღავნებს თავის თავს. ან და ნაწილი მოთავსებულია დასასვენებლად; ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია ის შეუჩნეველი დარჩეს. მხოლოდ საჭიროა სიფხიზლე, გამჭრიახობა და დაკვირვება. მოთვალთვალეს უნდა შეეძლოს ყველა იმ ნიშნების შეტყობა, რომლებითაც შეიძლება შემჩნეულ იქნას ქვეითი ჯარის, ცხენოსანის, არტილერიისა და სხვების მოახლოება.

ავიღოთ მაგალითად ლაშქრული წესით მოძრაობა და ვნახოთ, რა განსაკუთრებული ნიშნები ახასიათებს თვითეულ გვარი იარაღის ნაწილის მოძრაობას.

ვსთქვათ მოძრაობს ქვეითი ჯარი. მის წინ ცხენოსანი, უკან არტილერია. რას ვხედავთ ჩვენ? მიწიდან თვალთვალით ჩვენ დავინახავთ შემდეგს: ცხენოსანი ჯარის მოძრაობის დროს სდგება მტვერი ძალიან მაღლა, (თუ ეს ზაფხულში ხდება) და ცხენოსანი რიგები მოსჩანს შორიდან, როგორც შავი ზოლი. ქვეითი ჯარის მოძრაობის დროს მტვერი სდგება დაბლა, ხიშტები ბრჭყ… ჩანს შავი, …

რაც შეე… აქ ჩვენ და… ბად მტვერი… სქელს, ვინმ… ნოსანში. ამას … ლი ჯარის ნაწილ… დროს გამოსცემს … ეს ხმაურობა განსაკუთრები… ძლიერია ცხენოსანსა და არ… ტილერიაში. აი ამ ხმაურობი… ფეხისა და საბარგულების ხმი… ადვილი შესამჩნევია ჯარის ნა… წილების მოძრაობა ღამით… ხოლო უფრო შესამჩნევი ხდე… ბა, როცა მოძრაობის დრო… მეომრები არ იცავენ ლაშ… ქრულ დისციპლინას, პაპიროს… სწევენ, აელარუნებენ ქვაბებს… ლაპარაკობენ, მღერიან და სხვა…

ყველა ამ ნიშნების წყალობით, მიწიდან მოთვალთვალე… ადვილად შეამჩნევს მტერს და… აცნობებს თავის უფროსს, რომელიც ღებულობს საჭირო… ზომებს და მომზადებული შე… ხვდება მტერს.

აი ეხლა ყოველი ჩვენთაგანი… უნდა ჩაუფიქრდეს, თუ როგორ… უნდა ეჭიროს თავი ლაშქრული წესით მოძრაობის დროს, რომ ნაკლებ იქნას შემჩნეული.

ამისათვის საჭიროა ლაშქრული მოძრაობის ყველა წესების დაცვა, რომ მოპირდაპირეს გაუჭირდეს ჩვენი შემჩნევა, რაც მოგვცემს ჩვენ საშუალებას შეუმჩნევლად მიუახლოვდეთ მას და შევმუსროთ ის.

ი. ბ.

Коммунистическая партия Ук…

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ...ლე კარგი მსროლელები გვეყოლებიან.

2 ე ლეგიონი.

...უკანასკნელად გამოწვეულ წითელ არმიელებთან უკვე ...წყო პირველი საფეხურის ვარჯიშობა სროლაში. საუცხო... საყურებელია, როდესაც ამხანაგები ერთმანეთს ეჯიბრე...ნ, თუ ვინ მეტ გულს ჩააჯენს მიზანში. ჯერ-ჯერობით ...ს, რომ მიზანში სროლა თითქმის ყველას ემარჯვება. სა...ლოდ მორტყმა უდრის 30—40 პროც., რაც საკმაოდ და...ტკიცებელი საბუთია იმის, რომ ჩვენ მალე გვეყოლება კა... მსროლელი ამხანაგები.

...მეთაურები მთელი თავისი არსებით არიან ჩაბმული ამ ...ობის ფერხულში.

...დაჰკრავს თუ არა ზარი, ასეულები თავისი მეთაურებით ...ერით მიეშურებიან სასროლ მოედნისაკენ.

...არც პოლიტ-ხელმძღვანელები რჩებიან ამ საქმეში უკან ...ენერგიულად უხსნიან წითელ არმიელებს, თუ რად გვე...როება და ვის წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ სროლაში ...ი დახელოვნება.

სამხკორი ვ—ძე.

## ...ენი ლეგიონი ფხიზლად სდგას.

1-ლი ლეგიონი.

...ლწვეულების მიღებისათ-...წორედ დაწყებულ სამზა-... ბევრი შეგვძინა ლეგი-... წარმოებულ შემდეგ მუ-...აში. თავიდანვე დაწყებუ-...ქნა სისტემატიური მეცა-...ობა ყოველ დარგში. უმ-...ესი ყურადღება როგორც ...თვის, მიქცეული იქნა ...რო საქმისაკენ. ამ მიზ-... ლეგიონის მესვეურები ყო-...ვარ საშუალებებს მიმარ-...ენ და მიმართავენ ეხლაც. ...ველ ყოვლისა წითელ ...ცებს გაეცნოთ შინა სამ-...არის წყობა და მას-... [illegible] ...ვათ მრავალ ... ...რიალურ დამ... უნდა შ... ... წვევამდელ... ...კიპლინიანი ...ეს და ენ... სიფხიზლე ...დენ, როგორ... ...ცროსი მ... ...ობა— მოგვა... კარგი მ... ...სამხედრო ...მზრდელი ...ლებაშიც. ...იელის, ... ...ამაად შ... ...ესო ... 1904 წლ... ...კროს

იარაღის შესწავლისა და სროლის სწავლების საქმეს ჩვენი მოლაშქრეები განსაკუთრებული ხალისით ეკიდებოდენ და შედეგებიც ამიტომ დამაკმაყოფილებელი იქნა.

ნიშანში ზუსტათ სროლის საქმე ლეგიონში თითქმის 85% აღწევს. ეს უდიდესი მიღწევაა ასეთ მცირე ხანში.

ამას გარდა მიმდინარეობს სწავლება დისციპლინარული წესდების, ტაქტიკის, საგარნიზონო, ქიმიური, საკავშირო, ტყვიამფრქვევისა და სხვებში. შეთვისება წითელ-არმიელებსაგან დამაკმაყოფილებელია.

ასეულის მეთაურებს შემუშავებული აქვთ ცხრილი და გათვალისწინებული აქვთ ამნაირად შემდეგი დღის სამეცადინო გეგმა. სამხედრო საქმეში ხშირად ეწყობა აგრეთვე შეჯიბრი წითელ არმიელებს შორის.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

## მივდივართ წინ.

(მეთაურთა სკოლა).

...ლაში ეხლა ყველაფერს ...ყურადღება აქვს მიქ-... სკოლა კარგად თბე-...როა მხოლოდ ბიბლი-...აც მიექცეს ამ მხრივ ...ება.

...კლუბსაც მეტი ყურა-...აქვს მიქცეული. ეხლა ...ვსებით შეკეთებულია: ...შესებული და გადიდე-...სცენა, გაუმჯობესებუ-...ნო-ბუდრუვანა, გადი-...ა კლუბის დარბაზიც ...შესაფერად ეწყობა. ...ის გარეშე მუშაობა ...მიმდინარე შეკეთებასა ...-ვადიან შვებულების ...ფერხდა, მაგრამ ეხლა ...გამოცოცხლდა. ყვე-...ბი და მასთან ლენკუ-... კვლავ ამოქმედდენ. ...ოლიტშემადგენლობაც ...ით) მეტ აქტივობას ... ჩაბმულია საკალენდ-...ებისათვის მზადებაში. ...რის მუშაობასაც დაე-...უმჯობესება. ამზადებს ...-ბ პ ესებს და ინსცე-...ს. მოიზადებული „სა-...ნასწარ ისინჯება და ...დამება. ...ტებთან ერთად მზა-...ამულია წითელ-არმი...დებიც.

ემზადებიან — დრამატიული, ლიტერატურული, სამხატვრო და მომღერალთა წრეებში „ლენინისა და სამხედრო პროპაგანდის საღამო“-სათვის!

სკოლაში სამხკორთა წრეც მუშაობს. წითელ არმიელთა გუნდსაც აქვს თავის სამხკორთა წრე. ამ წრეს განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში საკუთარი კედლის გაზეთის გამოშვება.

განზრახულია მოეწყოს ერთი კომბინიური საღამო ფართო (სადღეისო) პროგრამით. ამ საღამოში ყველა წრეები მიიღებენ მონაწილეობას.

ამ დღეებში—ერთი წრის წევრი, წრეში წესრიგის დარღვევისათვის სამი დღით ჩაადინეს.

წრეებში მოშაობასა და შესაფერ დისციპლინას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, რითაც მუშაობის მეტ ნაყოფიერებას უნდა ველოდეთ.

სკოლის გარეშე, საკლუბო-მასიურ მუშაობაში ეხლა თანდათან მასწავლებლობაც ებმება.

სასურველია სკოლის ყველა თანამშრომელი ჩაებას ამ ფართო, ფრიად მნიშვნელოვან მუშაობაში. სამხკორი ჩვენი.

## წინ მივიწევთ.

მე-2 ლეგ. 1-ლი ასეული.

ასეულში კარგა ხანია გაჩაღდა კულტურულ-პოლიტიკური, სამხედრო და სხვა ხასიათის მუშაობა. იშვიათი გულმოდგინეობით და ინტერესით ეკიდებიან წითელ არმიელები მას. ამასაც ხელს უწყობს უმთავრესად მეთაურების ყურადღება და მათი ამხანაგური დამოკიდებულება ჩვენთან.

ყოველ საღამოობით ასეულის ლენინის კუთხეში იმართება გაზეთების ხმამაღალი კითხვა, კითხვა-პასუხი და სხვა. ეს ხდება ყველაფერი ცალ-ცალკე ჯგუფებათ, რასაც შეჯიბრის ხასიათიც ეძლევა.

მალე ჩვენი წითელარმიელები შეიძენენ სათანადო განვითარებას.

წ. არმ. ფარახელი.

## ნაკლულევანებები ხელს უშლიან ნორმალურ სწავლებას.

მე-4 ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლა.

სკოლაში სისტემატიურათ მიმდინარეობს მეცადინეობა. ლენ-კუთხეში გამუდმებულად სწარმოებს სხვა და სხვა ჯგუფების მეცადინეობა. ამ მოკლე ხანში განზრახულია საწრეო მუშაობაზე გადასვლა.

პოლიტმეცადინეობას ხელს უშლის საკლასო ოთახების უქონლობა და წითელარმიელებს უხდებათ ლოგინებზე წერა.

შეთვისება მცირეოდენის გამოკლებით სუსტია.

უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი, რომელიც საჭიროა აუცილებლად გამოსწორდეს. ეს არის ის, რომ სკოლაში, როგორც ლენ-კუთხეში, ისე ოცეულებში, ერთის გამოკლებით, არ ანთებენ ცეცხლს. დროა გამოასწორონ ეს ნაკლიც.

საჭიროა აგრეთვე ნაციონალურ უმცირესობისათვის, სომხური და ოსური გაზეთები, რასაც იმედია გამოგვიწერენ.

სამხკორი შურდული.

## დავაარსეთ მკითხველთა წრე.

1-ლეგ. 5-თე ასეული.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ასეულში დაარსებული იქნა მკითხველთა წრე, რომელსაც ხელმძღვანელობენ უფრო მცოდნე და აქტიური ამხანაგები. წრე აწარმოებს მეცადინეობას საერთაშორისო მდგომარეობაზე, პოლიტკომუნის მნიშვნელობაზე და სხვა, რისთვისაც იყენებენ სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთებს. ყველა წითელარმიელები გულმოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას და საკმაოდ დიდი ნაყოფიც გამოიღო ამ გარემოებამ. წრის მეცადინეობა სწარმოებს ყოველ საღამოობით ლენინის კუთხეში და გრძელდება თითო საათი. წრე თანდათან დიდ პოპულიარობას პოულობს წითელარმიელებში და უფრო და უფრო იკრებს მათ თვის გარშემო.

მალე 5-თე ასეული შესაფერ სიმაღლეზე დადგება მკითხველთა წრის ენერგიული მეცადინეობის მეოხებით.

სამხკორი ბ. ხვინგია.

## საერთო კრება.

6-სე ლეგიონი.

რამოდენიმე დღის წინად განიზაციის ცენტრად შესდგა ლეგიონის შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენება კლუბის გამგეობის მუშაობის შესახებ 1-ლი აგვისტოდან უკანასკნელ ხანამდე. მომხსენებელმა ვრცლად აღნიშნა მუშაობის ფორმები და რა გააკეთა თითეულ დარგში. საერთო შეკრების დროს კლუბმა პირნათლად და ზედმიწევნით კარგად შეასრულა თავისი მოვალეობა. ამ დროს შესძლომან თავისი მიზნების სრული განსახიერება. საერთო შეკრების დროს ის გადაიქცა მასიურ ორ-

კლუბის გამგეობის მუშაობა ჩათვლილი იქნა დამაკმაყოფილებლად.

მოსმენილი იქნა მოხსენება აგრეთვე რემედასის მნიშვნელობისა და მისი ორგანიზაციის ჩვენს ნაწილებში მუშაობის შესახებ.

დასასრულ კრებამ ერთხმად დაადგინა, რათა ლეგიონის ყველა მეთაურებმა გამოიწერონ გაზეთ „წითელ არმიელი“ და ხელი შეუწყონ მისი კოლექტიურად გამოწერის ჩატარებას წითელ არმიელებში.

სამხკორი ე— ლი.

## გამოცდის დილა.

4-ლეგ. მე-9 ასეულის წერტი.

ასეულმა ჯამი გაუკეთა წერტზე თავის მუშაობას. საჭირო იყო იმის გაგება თუ როგორ შეითვისეს წვევამდელებმა სამხედრო და პოლიტიკური საქმე.

გამოცდები დაიწყო დილის 9 საათ. და დამთავრდა 11-ზე. გამოცდებმა მეტად კარგი შედეგების წინაშე დაგვაყენა. თითქმის ერთი-ორად აქვთ ამხანაგებს შეთვისებული ყველა განვლილი საგნები. თვითეული წვევამდელი თამამად და სახეად უგებდა პასუხს მისადმი დასმულ საკითხებზე.

ასეულის მეთაურმა დასასრულ სიტყვით მიმართა ამხანაგებს და მოუწოდა, რათა შეძენილი ცოდნა არ დაივიწყონ და ეცადონ კიდევ უფრო გააღრმავონ ის.—მომავალი შეკრების დროს თქვენ ეს გაგვიადვილებთ მუშაობასო.

ამხანაგებმა ერთხმად შეჰყვირეს ასეულის მეთაურს „ვეცდებითო“ და კმაყოფილი დაიშალენ. ასე ჩატარდა ჩვენთან გამოცდის დილა.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## გამოცოცხლდა მუშაობა.

2 ე ლეგ. ბატარეია.

მეორე ლეგიონის ბატარეია, მზვერავთა გუნდი და სამნეო ასეული თავს იყრის ერთ კომუჯრედში, სადაც ძლიერ გამოცოცხლდა პარტმუშაობა და სისტემატიურად სწარმოებს კრებების მოწვევა. კრებები იმართება თვეში ორჯერ დახურულად. ამასთანავე ხშირად ხდება ღია კრებები, რომელსაც ესწრებიან უპარტიო წითელ არმიელები და ახკომკავშირის წევრები. გვაქვს დაარსებული პარტიული წრე-მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ.

ვაწყობთ ბატარეიაში ლენინის კუთხეს, რომლითაც ძლიერ დაინტერესებული არიან ყველა მეთაურები. განსაკუთრებით მადლობის ღირსია ამხ. ღვინიაშვილი, რომელმაც გაგვიკეთა მაგიდები, სკამები, მოგვიტანა პლაკატები, ჟურნალ-გაზეთები და მრავალი სხვა ლიტერატურა.

წ. არმ. ვარ. ცარცაძე.

## ცხენ. ლეგიონი.

8 იანვარს მოწვეული იქნა ლეგიონის ახკომკავშირის ჯგუფების ორგანიზატორთა და პარტუჯრედების მდივნების გაერთიანებული თათბირი ლეგიონის სამხკომთან ერთად. მოსმენილი იქნა მოხსენება უჯრედის მდივნების და კომკავშირის ორგანიზატორების მუშაობის შესახებ.

მოხსენება უფრო საინსტრუქციო ხასიათის, გააკეთა ამხ. სამხკომმა. მან დაწვრილებით გააცნო ამხანაგებს თავიანთი მოვალეობა, რამაც ბევრი გაუგებარი საკითხები გახადა გასაგები. დასასრულ ამხანაგი შეეხო აგრეთვე პარტდისციპლინას და მისი დაცვის აუცილებლობას. იყო მრავალი შეკითხვები. საერთოდ მოხსენებით ძლიერ კმაყოფილი დაიშალენ ამხანაგები.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## წვევამდე მზადების წერტზე.

### ნაყოფიერათ ვმეცადინეობთ.

კავთისხევის წერტი.

ყველა ჩვენი წვევამდელები იმას სცდილობენ, რომ ამ მოკლე ვადიან სამეცადინო დროის განმავლობაში კარგათ შეითვისონ და შეისწავლონ ყოველივე, რასაც ასწავლიან მათი უფროსები.

ისინი დიდ ყურადღებით ეკიდებიან სამხედრო საქმეს, თავისუფალ დროს ითხოვენ ყოველივე გაუგებარ სიტყვების ახსნა განმარტებას.

წერტზე დისციპლინა პირველ ხანებში არ იყო. ზოგიერთი წვევამდელები არღვევდნენ წესრიგს, ეხლა კი დისციპლინა თავის დონეზე დგას. მუშაობას მხოლოდ ხელს უშლის წვევამდელების 4—5 ვერსიდან სიარული. ისინი ცდილობენ მეცადინეობაზე მაინც თავის დროზე გამოცხადდენ.

წერტზე მეცადინეობის დაწყებისთანავე მოვაწყვეთ ლენინის კუთხე. ადგილობრივ ქოხ-სამკითხველომ ჩვენთან გადმოიტანა მოძრავი ბიბლიოთეკა.

წერტის კოლექტივმა გამოყო სამკითხველოს გამგე, რომელიც მეცადინეობის გათავების შემდეგ აწარმოებს წიგნების გაცემას წვევამდელებზე.

კედლის გაზეთის გამოშვება დღემდე ვერ შევძელით. ამისათვის ადგილობრივ ქოხ-სამკითხველოსთან დაკავშირებით უშვებთ ყოველ კვირეულ გაზეთს.

ლენინის კუთხეშიც ყოველ დღე სწარმოებს ხმამაღალი კითხვა ჟურნალ-გაზეთების და სხვა.

კუპრაშვილი.

## ადგ. ხელისუფლება კარგად გვეხმარება.

მეხუთე ლეგ. მესამე ასეული.

ჩვენი ასეული ამ ჟამად აწარმოებს მუშაობას ორ წერტზე ქ. ცაგერში და ლაილაშში. ამ წერტებზე მეცადინეობა დაიწყო თავის დროზე.

პირველ ხანებში მუშაობას ძლიერ ხელს უშლიდა წერტების მოუწყობლობა. მაგრამ ეს ნაკლი გამოსწორდა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით. უნდა აღინიშნოს, რომ ადგ. ხელისუფლება სერიოზულად ეპყრობა ჩვენს მუშაობას. ის გვიწევს ყოველთვის სათანადო დახმარებას, რითაც კი შეუძლია. ასეთი დახმარებისათვის ლეჩხუმის მაზრის აღმასკომს დიდ მადლობას უცხადებენ ჩვენი ასეულის უფ-პოლიტშემადგენლობა, წითელ არმიელები და წვევამდელები.

წვევამდელთა საქმიანობიდან უნდა აღინიშნოს, რომ მეცადინეობა წერტზე ამ ჟამად კარგად მიმდინარეობს. ხშირად იმართება წერტზე წვევამდელთა კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები საინტერესო საკითხებზე. ამ კრებებზე ყოველთვის ესწრებიან ადგილობრივი გლეხებიც, რომლებიც ძლიერ კმაყოფილი მიდიან ყოველთვის კრებებიდან.

ამ წერტებს უკვე აღებული აქვს კულტურული შეფობა სოფლებზე. წვევამდელები ჩაეწერენ რემედასის და ავიოქიმის წევრებად.

გელენიძე.

# მოსპეთ ნაკლოვანებანი

## ყურადღებას მაინც არ აქცევენ.

მეთაურთა სკოლა.

არა ერთხელ იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში საყვედური იმის შესახებ, რომ მოეცემოდა საჰაერო ფლოტის საწევრო წიგნაკები, მაგრამ ყურს არავინ იბერტყს.

აგერ 1924 წ. ვითვლებით ხსენებული ორგანიზაციის წევრებად, მობოჭეს ფულები და დღესაც არ ვიცით ვითვლებით თუ არა ორგანიზაციის ნამდვილ წევრებად. რა გასჭირდა ასე საწევრო წიგნაკების დარიგება?

დროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას ვისგანაც ჯერ არს.

სამხკორი ა. გ.

## არ გვირეცხენ საცვლებს.

1-ლი ლეგ. ბატარეია.

ჩვენს ბატარეაში ნაკლები ყურადღება ექცევა წითელარმიელთა საცვლების თავის დროზე დასუფთავების საქმეს. ორ კვირაზე მეტია საცვლები არ გამოგვიცვლია. მივდივართ აბანოში და ისევ ძველ ჭუჭყიან საცვლებს ვიცვამთ. ჩვენი საცვლები ყრია სამრეცხაოში და არავინ ზრუნავს მათზე. თბილი საცვლები კი თვეზე მეტია იქ არის მიტანილი და ჯერაც არ დაუბრუნებიათ უკან. რას უნდა მივაწეროთ ასეთი უყურადღებობა? მოგვეცით სუფთა საცვლები თავის დროზე.

სამხკორი ე. ჯალისხეველი.

# ბიბლიოგრაფია.

## „საქართველოს კომპარტიის ძველი გვარდია".

თბილისი, 1925 წელი. გამოცემა პარტისის.

ქართულ ენაზე არ მოიძებნება არც ერთი წიგნი, რომლის საშვალებითაც შესაძლებელი ყოფილიყოს ახალგაზრდა თაობას გაეცნო პარტიის ძველი მუშაკნი.

პარტისის მიერ გამოცემული ალბომი „საქართველოს კომპარტიის ძველი გვარდია" იძლევა მდიდარ მასალას ამ დარგში.

ამ ალბომში მოთავსებულია პარტიის მუშაკთა სურათები და ბიოგრაფიები.

აქ არიან მუშაკნი, რომლებიც მუშაობდნენ 1905 წლის რევოლიუციამდე, ხელს უწყობდნენ ამ რევოლიუციას და უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მის მსვლელობა—გაფართოებას.

შემდეგ მოსდევს მთელი რიგი პარტმომუშაკების, რომლებიც განხეთქილების შემდეგ დარჩნენ ბოლშევიკურ ფრთაში და განაგრძნობდნენ თავდადებულ მუშაობას მუშათა კლასის გასანთავისუფლებლად.

ალბომი ლამაზად არის გამოცემული, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზედ.

მისი შეძენა აუცილებლად საჭიროა ჩვენი ნაწილებისთვის, ვინაიდან შიგ დაგროვილია მდიდარი მასალა საქართველოს კომპარტიის ისტორიის შესასწავლად.

ალბომი ღირს 2 მ. 50 კ.

ე. ხუციშვილი.

# ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს" სამი თვით ქალაქ ქუთაისის მაზრის სოფელ ოფჩის თემის კოხსამკითხველოსთვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ამხანაგ ნადარეიშვილს, სიმონ ჩიხაიას, მიხა კლდიაშვილს, ვარლამ ხვინჯილიას, ყარამან ფოჩხუას, გრიგოლ გრძელიშვილს, სიჭინავა თადეოზს, ხუბუა დომენტის, თაბუკაშვილი გერონტის, კვანტალიან ბიქტორს, ჯიქია ერასტის, მარგველაშვილი შალვას, ხარებაძე ვარლამს და ლაგვილავა არსენს.

1 ლ ესკადრ. უფპოლიტშემადგენლობიდან. ამხანაგ ეფრემიძეს, პოლიტხელს. ესკადრ. თავს. გიორგი ჩიჩუას, ხარბედია იაშას, რუბენ აბრამიშვილს, კოკავა მალოქიას, ურუმაშვილ ვ ნოს, ხაჭაპურიძე აკაკის, აბაშიძეს და ნიშნიანიძეს.

სოფელ ოფჩის თემიდან თემალმასკომის თავმჯდომარეს—ამხანაგ ლევონინე მჭედლიძეს, კომუჯრედის მდივანს-სანდრო კოხოძეს. და კოოპერატივის ბუღალტერს კაკო კახიძეს.

წითელი არ. პეტრე ქაბიძე.

# ამბები სოფლებიდან.

**ზრუნვა ბავშვებზე.** სამხრეთ ოსეთში სოციალურ უზრუნველყოფაზე აყვანილია 189 ბავშვი.

**წითელარმიელთა ოჯახები.** ახალქალაქის ალმასკომმა დაადგინა ხელახლა აიყვანოს აღრიცხვაზე წითელი არმიის რიგებში მყოფთა ოჯახები.

**დახმარება გლეხებს.** რაჭის სამაზრო სოც.-უზ. განყოფილება უფასოთ აძლევს სააღმშენებლო მასალას სტიქიურათ დაზარალებულებს.

**რაჭის სამაზრო** გლეხკომს განზრახვა აქვს შეუდგეს გლეხებში კომუნების მოწყობას.

**საქონლის ჭირთან** მებრძოლი გორის სამაზრო კომისია ახდენს სოფლების ჩამოვლას ჭირთან ბრძოლის მიზნით.

**წყალტუბოზე** მიმოსვლის გასაადვილებლათ საკურორტო სამმართველო შეუდგა გზატკეცილის შეკეთებას.

# ახალი ამბები.

— **მაზრის კეთილმოწყობა.** ტფილისის ალმასკომმა გადასდო 110.000 მანეთი, ტფილისის მაზრის კეთილმოწყობის საქმისთვის.

— **როზა ლიუქსემბურგის** ძეგლის დასადგმელათ მისივე სახელობის ბაღში ტფილ. ალმასკომმა შეადგინა ცალკე კომისია.

— **სოც. დაზღვევის სამმართველომ** გადასდო ათასი მანეთი ახალციხის საავათმყოფოს შესაკეთებლათ.

— **წალკის გზა** ტფ. ალმასკომის სამაზრო კეთილმოწყობის განყოფილებამ დაასრულა წალკის გზა-ტკეცილის შეკეთება, რაზეც დაიხარჯა 31.700 მანეთი.

— **გუთნებს მიიღებს.** ამ.-კავკ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო 25 რონოდა გუთნები. აღნიშნული გუთნები განაწილდა ა.-კ. რესპუბლიკებს შორის.

— **მუშათა ქალაქი.** საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი" გაზაფხულიდან შეუდგება მუშათა ქალაქის გაშენებას დარკვეთის რაიონში.

# უცხოეთის არმიებში

## წამებულნი.

(ფრანგ ჯარისკაცთა წერილები).

ფრანგულ კომუნისტურ გაზეთ „იუმანიტე"-ში მოთავსებულია ერთი ჯარისკაცის წერილი მაროკოს ფრონტიდან.

მისი პოლკი რომელიც გაგზავნილ იქნა მაროკოს ფრონტზე განუწყვეტლად იღებდა ბრძოლებში მონაწილეობას ივლისიდან. ბიბანის ალების შემდეგ 20 ოქტომბერს, ლეგიონს შეჰპირდენ დასასვენებლად გაშვებას, მაგრამ ის აქამდე იმყოფება პოზიციაზე.

აი რასა სწერს ახალგაზრდა ჯარისკაცი თავის დედას:

**შიმშილისაგან ვსტიროდით.**

„ძვირფასო დედა. ამ წერილში მე მსურს აგიწერო მოკლედ ფრონტზე მყოფ მსროლელ ჯარის-კაცების ცხოვრება.

მე ვლაპარაკობ მსროლელების შესახებ იმიტომ, რომ ისინი ყველაზე უფრო ხშირად მონაწილეობენ შეტაკებებში და სხვაზე უფრო მეტს მუშაობენ საშინელ პირობებში: წვიმაში, დღედაღამე და შიმშილობის დროს. იმდენად მშიერი ვყოფილვარ ხშირად, რომ არა ერთხელ ავტირებულვარ ცხრე ცრემლით.

ჩვენ ყველა დამწვირიანებული ვართ საზიზღრობებამდე, 26 დღის განმავლობაში ჩვენ არ გამოგვიცვლია საცვლები და არ დაგვიბანია პირი. ყველა ერთიანად დაგვჭამა მკბენარებმა. ასე მოსდით ოფიცრებსაც, რომლებსაც ყავთ „დენშჩიკები" და შედარებით უზრუნველყოფილნი არიან."

**ორ-ორი დღე უპუროთ.**

„ბიბანის" აღების დროს ჩვენ კიდევ მეტი წარმოუდგენელი გაჭირვება გავიარეთ. საჭმელი ძლიერ ცოტა გვქო[ნდა] (ხშირად ორ—ორი დ[ღის] განმავლობაში უპურო[თ] ყავით), ჩვენ ვიყინებო[დით] და რომ გვეხსნა თავი გა[...] ბისაგან იძულებული ვიყ[ავით] გვეჭამა და შევხურებ[ოდით] ყავით.

**გაზეთებში სწორი ც[ნო]ბები არ არის მოყვან[ილი] მაროკოში ნაწვევ[...] [ჯა]რისკაცების შესახებ:** მსრ[ოლ]ელთა პოლკებში ეს [...] კლისი გაცილებით მ[...] ვინემ ამბობდენ.

**შეშის მაგივრად—ჩვრ[ები].**

პარიზის რაიონის ჯარ[ისკა]ცებიც ვერ ცხოვრობენ კარ[გად]. იგივე „იუმანიტე" იტყო[ბინება]: ჯარისკაცთა სადგომები ა[...] არ თბება. ჯარისკაცები [...]ნებიან ყაზარმებში, გაუ[...] ხტებსა და სწავლის დროს [...] რიზის 19 საავტომობილო [...] რკში შეშის უქონლობის [...] მო, სწვავენ გაქონილ ავტ[...] ბილის საწმენდ ჩვრებს.

5-თე პოლკში სრულია[დ] ახურებენ ღუმლებს. ჯარ[ისკა]ცები ველარ იტანენ სიც[ივეს] უფროსებისაგან დათვალი[ერე]ბის დროს აანთებენ, ხ[ოლო] შემდეგ, ყურადღებას არ აქცევს.

**კომუნისტები-ჯარისკაც[ებს] ეხმარებიან.**

ჩვეულებრივად ყაზარ[მებში] საღამოობით ხშირად არ[ის] გრადუსი სიცივე.

გაზეთი მიმართავს ჯარ[ისკა]ცებს:

„ამხანაგო ჯარისკაცებო [...] იყინებით, აღიმაღლეთ ხმა, [მო]ითხოვეთ ნახშირი და შე[შა], თუ არ მოგცენ, შეგვატყობ[ინეთ], მოიწერეთ ჩვენთან და მოვითხოვთ თქვენთვის."

# რა ვიკითხოთ ლენინის შესახებ?

ნაკლებ მომზადებულთათვის:

1. ლენინის ბიბლიოთეკა ტ. „სახ. გამ." 1924 წ. სულ 17 წიგნაკი.
2. ზინოვიევი. ლენინი. ტ. „ცეკა", 1924 წ. გვ. 34.
3. მარტინოვი. პროლეტარიატის დიდი ბელადი. ტ. „ცეკა", 1924 წ., გვ. 25.
4. ნევსკი. ვლად. ი. ლენინი. ტ. „პოლიტგანი", 1924 წ., გვ. 59.
5. ხოდოროვსკი. ვ. ი. ლენინი, ტ. „პოლიტგანი. 1924 წ. გვ. 45.

მომზადებულთათვის:

1. კამენევი. ვ. ი. ლენინი და რ. კ. პ. ისტორია. ტ. „ცეკა". 1924, გვ. 97.
2. კამენევი. ვლად. ილიას ძე ლენინი. ტ. „ზაკკნიგა", 1924, გვ. 31.
3. პოპოვი და იაკოვლევი. ლენინის ცხოვრება და ლენინიზმი, ტ. „ცეკა", 1924, გვ. 85.
4. რადეკი. ა. ლენინის შესახებ, ტ. „ცეკა", 1924, გვ. 79.
5. სტალინი. ლენინი და ლენინიზმი. ქუთაისი, „სახ. გამ". 1925, გვ. 203.
6. — — ლენინი, ტ. „წით. წიგნი", 1924, გვ. 147.
7. — — ლენინიზმის შესასწავლი მასალებისა და პროგრამების კრებული, ტ. „მნათობი", 1924, გვ. 153.

საკლუბო მუშაობისათვის:

1. ერთი წელი ლენინის გარდაცვალების დღიდან, ტ. „მნათობი, 1925, გვ. 295.

ხმამაღალი კითხვისათვის:

1. ლენინის საათი სკოლაში, ტ. „სახელგამი", 1925, გვ. 132.
2. ემელიანოვი. საიდუმლო კარავი, „ლენ. ბიბლიოთეკიდან".

მხატვრული ნაწარმოებნი:

1. ჟ. „დროშა", 1924 წ. № 7.
2. ჟ. „დროშა", 1924 წ. № 8.

მთელი რიგი ლექსებისა და სხვ. მოთავსებულია ამ ჟურნალებში.

3. ლენინი, ტ. „წით. წიგნი", 1924, გვ. 145. 135 გვერდიდან 144-მდე.
4. მაშაშვილი. მერეხი.
5. ციმბირელი. „ცეცხლის აკორდები.

მდიდარი მასალებია 1924 და 1925 წლების გაზ. კომუნისტში", „მუშაში" და „წითელ არმიელში" იანვრის ნომრებში".

ზემოაღნიშნული წიგნებიდან, ნაკლებ მომზადებულებთან, განსაკუთრებით უნდა იქნას გამოყენებული ნევსკის, ზინოვიევის და ხოდოროვსკის წიგნები, როგორც უფრო პოპულიარული მასალა ლენინის შესახებ.

შემდეგში გეგმიანი მუშაობისთვის აუცილებელია წარმოებულ მუშაობის მიღწევების და გამოცდილებების აღრიცხვა, რისთვისაც ბიბმუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ აღნუსხვას, თუ რომელი წიგნი რამდენ წითელარმიელის მიერ იქნა წაკითხული და როგორ. ამას გარდა საჭიროა „მკითხველთა აზრი"-ს რვეულებში წითელარმიელები სისტემატიურათ სწერდენ თავიანთ აზრს წაკითხულ წიგნების შესახებ.

საბიბლიოგრაფიო ბიურო.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება წ. მოლ. ხაჩიკ არუთ[უნი]ძე ოაკიმოვს პარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს მის შესახებ, გთხ[ოვთ] აცნობოთ 1-ლ ასეულის კომუჯრედში ერთი კვირის გა[ნმა]ვლობაში.


# რა ღირს „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედროსტამბა კეცხოველის ქ № 8. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე